



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ადმასრულებელი დირექტორი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისი

N 78

26/06/2017

საქსტატში მონაცემების კონფიდენციალურობის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის, ევროსტატისა და გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემის 2013 წლის გლობალური მიღებული რეკომენდაციებიდან გამომდინარე,

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N406 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს თანდართული „მონაცემების კონფიდენციალურობის პოლიტიკა საქსტატში“.
2. ბრძანება გამოქვეყნდეს საქსტატის ვებგვერდზე, კანონმდებლობის ნაწილში.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

მერი დაუშვილი

ადმასრულებელი დირექტორი

მონაცემების კონფიდენციალურობის პოლიტიკა საქსტატში

სტატისტიკური კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკის, მისი პრინციპებისა და წესების განსაზღვრა და ინფორმაციის მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენების უზრუნველყოფა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

საქსტატის კონფიდენციალურობის პოლიტიკის საფუძველს წარმოადგენს უწყების პროფესიული დამოუკიდებლობა, საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“, საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და საქსტატის დებულება. საქსტატი აგრეთვე იზიარებს გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტურ პრინციპებს და ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსის პრინციპებს, რომლებიც კონფიდენციალურობის არსს განსაზღვრავენ.

საქსტატის მიზანია, ერთის მხრივ, მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება და მათი მაღალი ხარისხის მონაცემებით უზრუნველყოფა, მეორეს მხრივ, კონფიდენციალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ აქტებსა და ინსტრუქციებში არსებული პირობებისა და ვალდებულებების შესრულება.

„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება.

კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემებია სტატისტიკური მიზნით შეგროვებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იძლევა დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას ან რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ამგვარი მონაცემების დადგენა.

ოფიციალური სტატისტიკის შესახებ კანონის 28-ე მუხლის თანახმად, „ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ისინი იძლევა დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას ან თუ მათი მეშვეობით შესაძლებელია ამგვარი მონაცემების დადგენა.“

კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ არეგულირებს მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვის საკითხს და განსაზღვრავს ამ მხრივ საქსტატის ორგანოებში დასაქმებულთა ვალდებულებას და პასუხისმგებლობას. დაუშვებელია კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გაცემა და გავრცელება ან მათი არასტატისტიკური მიზნით გამოყენება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა (მუხლი 28). საქსტატის ორგანოებში დასაქმებულებს ეკრძალებათ სტატისტიკური კვლევის მიზნით შეგროვებული და დამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გამოყენება და გავრცელება (მუხლი 29).

საქსტატი იცავს ბალანსს მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის მონაცემების მიწოდებასა და კონფიდენციალური მონაცემების დაცვის მოთხოვნას შორის ისე, რომ არ შეიქმნას ინდივიდუალური მონაცემების გამჟღავნების საფრთხე.

საქსტატის ვალდებულებაა, მკაცრად დაიცვას სტატისტიკური ინფორმაციის საწარმოებლად შეგროვებული ინფორმაცია გამჟღავნებისგან, რათა მოიპოვოს და შეინარჩუნოს ინფორმაციის მომწოდებელთა მაღალი ნდობა. ამ მიზნით საჭიროა, საქსტატის თანამშრომლები ფლობდნენ და მუდმივად ანვითარებდნენ სათანადო ცოდნას, მეთოდოლოგიას და საინფორმაციო

ტექნოლოგიებს, რათა შეასრულონ კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით მათზე დაკისრებული მოვალეობები.

მუშაობის პროცესში საქსტატი ეყრდნობა კონფიდენციალურობის შემდეგ ფუნდამენტურ პრინციპებს:

- **კონფიდენციალური მონაცემების მართვა.** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური პატივისცემით ეკიდება რესპონდენტების მიერ მოწოდებულ პირველად მონაცემებს, უზრუნველყოფს მათ კონფიდენციალურობას და მხოლოდ სტატისტიკური მიზნით გამოყენებას.
- **მონაცემების მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება.** შეგროვებული მონაცემების მართვა და გამოყენება ხდება მხოლოდ სტატისტიკური მიზნით (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა).
- **არასტატისტიკური მიზნებით გამოყენების აკრძალვა.** მონაცემების ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენება (სახელმწიფო ორგანოებისთვის მიწოდება) მკაცრად აკრძალულია და საქსტატი ვალდებულია უზრუნველყოს ამ მოთხოვნის შესრულება პრაქტიკაში.
- **სტატისტიკურ მონაცემთა საჯაროობა.** „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქსტატი უზრუნველყოფს სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ამსახველი პრაქტიკული ღირებულების მქონე სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობას კონფიდენციალურობის წესების სრული დაცვით.
- **სტატისტიკური მონაცემების მეცნიერული მიზნებისთვის გამოყენება.** საქსტატი უზრუნველყოფს მკვლევარებისთვის მეცნიერული მიზნებით დეიდენტიფიცირებულ (დაშიფრულ, იდენტიფიკატორების გარეშე) მონაცემთა ბაზასთან წვდომას შესაბამისი მეთოდოლოგიური უზრუნველყოფით.
- **ინდივიდუალური მონაცემების გამჟღავნების აკრძალვა.** სტატისტიკური მონაცემების გავრცელების დროს „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად დაკვირვების ერთეულის შესახებ ინდივიდუალური მონაცემების გამჟღავნება აკრძალულია.
- **მონაცემების დაცვის გამჭვირვალობა.** ინფორმაცია საქსტატის მიერ მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით გაწეული საქმიანობისა და გამოყენებული მეთოდების შესახებ საჯაროა და მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია.
- **ორგანიზაციული დაცვის უზრუნველყოფა.** საქსტატი მიმართავს საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ, მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ ზომებს კონფიდენციალური მონაცემების ფიზიკური და ლოგიკური დაცვის უზრუნველსაყოფად.
- **საქსტატის თანამშრომელთა ვალდებულება.** ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. მათ მიერ პირველადი ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში დაეკისრებათ კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობა.
- **საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის სტატისტიკური მონაცემების მიწოდება.** საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ცხრილების სახით სტატისტიკურ მონაცემთა მიწოდება ყოველთვის უნდა ეფუძნებოდეს სამართლებრივ აქტებს და შესაბამის ინსტრუქციებს. მონაცემები დაცული უნდა იქნეს არსებული ინსტრუქციებისა და რეკომენდაციების შესაბამისად.

საქსტატი უზრუნველყოფს ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების სრულ დაცვას და საზოგადოების მუდმივ ინფორმირებას კონფიდენციალურობის პრინციპების დაცვასთან დაკავშირებული სამუშაოების შესახებ.